ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4449548

ნომერი: AR1669357

თარიღი : 03.04.2019

გაცემის თარიღი : 15.04.2019

გაცნობის თარიღი : 16.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერეკლე II , N 4/10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გეგელია პ/ნ 01008016809
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 24"ა" ბ. 79

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: კონფიდენს გრუპი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 2052279884
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ოზგურ დურდაბაქი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01197002613

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რაუფ ხიდიროვ

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 03 აპრილის AR1669357 განცხადება. გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზი,კერძოდ:

- პროექტის მიხედვით, ჩრდილოეთის მხრიდან საკადასტრო საზღვრებს გარეთ შეცვლილია გრუნტის ნიშნული (იჭრება მიწა) და ეწყობა კიბეები - წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყების თანხმობა;
- ირღვევა სამეზობლო მიჯნები; საზოგადოებრივ სივრცეში კიბის მოწყობასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნეს საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრის ნორმები;
- გარკვეული სამუშაოები ხორციელდება საკადასტრო ერთეულის მიმდებარე არეალზე. წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია.
- წარმოსადგენი იქნება ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა ღობის მოიწყობასთან დაკავშირებით. კალენდარულ გრაფიკში სრულად მიეთითოს სამუშაოები დაემატოს მომიჯნავე შენობის უსაფრთხოების მიზნით განსახორციელებელი სამუშაოები.
-წარმოდგენილი იქნას კონსტრუქციული დაგსკვნა.
- ფოტომონტაჟზე მითითებული იქნეს მასალა, ზომები, ნიშნულები სრულად და მონტაჟის შესაბამისად; მასალის ფერები მიუთითეთ საერთაშორისო RGB ან RAL კოდების მიხედვით;
-ტექნიკურ-ეკონომიკურ პირობებში მითითებული იქნას საერთო ფართი (არსებული-საპროექტო)
- მშენებლობის კალენდარული გრაფიკში ნახსენებია სადემონტაჟო სამუშაოები. გთხოვთ სიტყვა "დემონტაჟი" ჩაანაცვლოთ სხვა ტერმინით. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა)დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ)რესტავრაცია; ე)რეკონსტრუქცია; ვ)ადაპტაცია. შესაბამისად, პროექტში და მშენებლობის ორგანიზების პროექტში "სადემონტაჟო სამუშოები" არ უნდა იყოს მითითებული. ხოლო, ამავე კანონის 26 მუხლის შესაბამისად ,,უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა''

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.